ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2063276

ნომერი: AR1332910

თარიღი : 06.08.2015

გაცემის თარიღი : 03.09.2015

გაცნობის თარიღი : 03.09.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერისცვალების ჩიხი N6 , ქ. წამებულის გამზირი N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ ქურხული პ/ნ 01024036676
- თბილისი ქ. წამებულის 5

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მამუკა სირაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს .პირამიდა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 203841408

"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ფერისცვალების ჩიხი N6/ქეთევან წამებულის გამზ. N5–ში მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული წარმოდგენილი ესკიზის შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N15, 07.08.2015 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი: ,,უარი ეთქვას ქ. თბილისში, ფერისცვალების ჩიხი N6/ქეთევან წამებულის გამზ. N5–ში მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული წარმოდგენილი ესკიზის შეთანხმებას. რეკომენდაცია: შეთანხმებული პროექტით არსებული შემინული მანსარდა უმჯობესია გახდეს აგურის კედლიანი სართული, რომელიც გაიმეორებს ქვედა სართულის დანაწევრების ხასიათს. დამუშავდეს მეორე სართულის შემინული მონაკვეთის რამდენიმე ვარიანტი. მინა შესაძლოა შეიცვალოს აგურით. წყობა შესაძლოა იყოს არსებულის მსგავსად შეწეული ან საერთო საფასადო სიბრტყის პირზე გამოსული". სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ვ. ქურხულს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ფერისცვალების ჩიხი N6/ქეთევან წამებულის გამზ. N5–ში მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული წარმოდგენილი ესკიზის შეთანხმებას. რეკომენდაცია: შეთანხმებული პროექტით არსებული შემინული მანსარდა უმჯობესია გახდეს აგურის კედლიანი სართული, რომელიც გაიმეორებს ქვედა სართულის დანაწევრების ხასიათს. დამუშავდეს მეორე სართულის შემინული მონაკვეთის რამდენიმე ვარიანტი. მინა შესაძლოა შეიცვალოს აგურით. წყობა შესაძლოა იყოს არსებულის მსგავსად შეწეული ან საერთო საფასადო სიბრტყის პირზე გამოსული.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.